ნოდარ შენგელია

გიორგი საakაძის ქალიშვილის ანე ხათუნის საფლავი

1959 წელს თურქმა ისტორიკოსმა ი. ჰაქი კონიალიმ გამოსცა სქელტანიანი გამოკვლევა — „არზრუმის ისტორია" (თურქულ ენაზე). მასში ავტორმა მონოგრაფიულად განიხილა არზრუმის წარსული უძველესი დროიდან დღემდე. ნაშრომში ფართოდაა გამოყენებული ავტორის მიერ არზრუმის პროვინციაში ჩატარებული დაზვერვითი არქეოლოგიური ექსპედიციის მონაცემები. ავტორს ფეხით დაუვლია მთელი ვილაიეთის ისტორიული ადგილები, აღუწერია და გამოუყენია საინტერესო ისტორიული ძეგლები, წარწერები და სხვა ხასიათის მასალა. მის მიერ მოძიებული ისტორიული ღირებულების მქონე ცნობები და სხვა პირველხარისხოვანი წყაროები უხვადაა გამოყენებული არზრუმის ისტორიის სხვადასხვა პერიოდის შესწავლისას.

ჩვენი ყურადღება მიიქცია ნაშრომის იმ ადგილმა, სადაც ავტორი მსჯელობს XVII ს-ის 30-იანი წლების არზრუმის ისტორიის საკითხებზე. კერძოდ. ამ პერიოდის არზრუმის ისტორიის გადმოცემისას ი. ჰაქი კონიალის ერცლად აქვს მოხმობილი ამ ხანის ეპიგრაფიკული მასალები, რომელთა შორის ვხვდებით ერთი საფლავის წარწერას, რომელიც, მისი სიტყვით, გიორგი საakაძის ქალიშვილს — ანე ხათუნის საფლავის წარწერა უნდა იყოს. ავტორს ნაშრომში წარმოდგენილი აქვს ამ აკლდამის საერთო ხედი, აქვეა წარწერის ფოტოსურათიც. შემდეგ გაშიფრულია წარწერა და მოცემულია წარწერის არაბული და ლათინიზირებული ტრანსკრიბცია.

წარწერა დათარიღებულია ჰიჯრის 1059 წლით, რაც ჩვენი წელთაღრიცხვის 1649 წელს თანხვდება. ჩანს, რომ გიორგი საakაძის ქალიშვილი გარდაცვლილა 1649 წ.. ჰამამისის სიკვდილით დასჯიდან ოცი წლის შემდეგ. ავტორი ცდილობს დაადგინოს ანე ხათუნის ბიოგრაფია, მაგრამ ამაოდ. მისი ბიოგრაფიის შესახებ ავტორმა თითქმის არაფერი იცის. სამაგიეროდ თურქი ისტორიკოსი შეძლებისდაგვარად ვრცლად გადმოგვცემს ცნობებს გიორგი საakაძის შესახებ, უპირატესად მისი სიცოცხლის ბოლო წლებზე გვიყვება. ავტორი გიორგი საakაძეზე ამბების გადმოცემისას ძირითადად XVII ს-ის ოსმალო ისტორიკოსების — ქათიბ ჩელების, იბრაჰიმ ფეჩევისა და მუსტაფა ნაიმას „ისტორიებში" დაცული ცნობებით კმაყოფილდება. იგი ამ ისტორიკოსთა მონაცემების მიხედვით წარმოგვიდგენს გიორგი საakაძის საქმიანობას და მის უკანასკნელ დღეებს ოსმალეთში. ზემოთჩამოთვლილი ისტორიკოსთა თხზულებებში დაცული ცნობები გიორგი საakაძის შესახებ, თითქმის ყველაფერი ცნობილია ჩვენს ისტორიოგრაფიაში, მაგრამ ეფიქრობთ თურქი ისტორიკოსის მსჯელობა მის მიერ მოტანილი მასალა გიორგი საakაძის შესახებ, მის მიერ ნაპოვნი საფლავის წარწერის შინაარსი, ინტერესმოკლებული არ იქნება ფართო მკითხველისათვის.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენს ისტორიოგრაფიაში თითქმის უცნობია გიორგი საakაძის ქალიშვილის ბიოგრაფია. ვიცით მხოლოდ, რომ გიორგი საakაძეს ჰყავდა შვიდი შვილი, ოთხი ვაჟი და სამი ქალი. ვაჟებიდან უფროსი ყოფილა ავთანდილი, შემდეგ პაატა, იორამი და დავითი. დოკ. გივი ჯამბურიას მტკიცებით, „ორი უფროსი ქალი გიორგის ირანში გადახვწამდე ე. ი. 1612 წლამდე გაუთხოვებია. მესამე კი 1620 წ. შემდეგ გათხოვილა. უფროსი

ქალი თეიმურაზ მუხრანბატონის მეუღლე ყოფილა, ორი დანარჩენიდან ერთი — იასე ქსნის ერისთავისა, ხოლო მეორე — ახალციხელი ფარად ფაშას მეუღლე. სხვა არაფერი ვიცით გიორგის ქალების შესახებ"[1]. მართლაც, გიორგი საყაძის ერთერთი ქალიშვილი რომ ცოლად ჰყავდა ფერჰად ფაშას ამას „დიდმოურავიანის" ავტორიც ადასტურებს. იგი წერს: „ფარად ფაშა ხომ სიძედ მყავ თავდადებ, ჩემთვის მკვდარია".[2] (სტროფი 234).

გიორგი საყაძის მესამე ქალიშვილის ქორწინება ახალციხელ ფარად ფაშასთან იგივე ფერ ფერჰად ფაშასთან უნდა მომხდარიყო 1620-1624 წლებში.[3] ფერჰად ფაშა თათაგთა გამუსლმანებული ხომმავალი ჩანს და საყაძისათვის მასთან დამოყვრება ყოველმხრივ გამართლებული უნდა ყოფილიყო. საჭიროების შემთხვევაში ახალციხელ ფაშათა საგვარეულოს წარმომადგენელს ადვილად შეეძლო ოსმალეთის სულთნისათვის წარედგინა გ. საყაძე და გარკვეული რეკომენდაციაც გაეწია. როდესაც გ. საყაძე დახმარების სათხოვნელად ოსმალეთის სულთანთან მიდიოდა. მთელი თავისი ოჯახი მან სწორედ სომეხეთში. თავის მოყვრებთან დატოვა და თვითონ მთელი ამალით ოსმალეთს გაემართა.

უფრო სავარაუდოა, რომ არზრუმში ნაპოვნი აკლდამა გ. საყაძის იმ ქალს უნდა ეკუთვნოდეს, რომელიც ახალციხელ ფაშათა-ჯაყელთა საგვარეულოს წარმომადგენელზე იყო გათხოვილი. სამწუხაროდ, ჩვენთვის უცნობია გ. საყაძის ახალციხელი სიძის საქმიანობა, მისი ბიოგრაფია და რაც მთავარია, თუ როგორ მოხვდა მისი მეუღლის საფლავი არზრუმში. საფლავის სიდიდე, წარწერის შინაარსი გვაძლევს საფუძველს დაუშვათ, რომ მხოლოდ წარჩინებულის, ან თანამდებობის პირის ოჯახის წევრების ნეშტი შეიძლებოდა ყოფილიყო დასაფლავებული ასეთი პატივით. ჩვენთვის ასევე უცნობია თუ ვის ეკუთვნის ის ორი პატარა აკლდამა, რომელიც ანე ხათუნის საფლავის გვერდით მდებარეობს. მოსალოდნელია, რომ მისი ოჯახის წევრები არიან.

გიორგი საყაძის სიძის შესახებ საინტერესოა იოსებ თბილელის ერთი ცნობა. იგი წერს:

„ხელმწიფესა დიდადა სჩანს.
მისთვის პრის დიდად კარგი
ხაზინადარ სიძეთა ყავს.
ხელმწიფისა დიდად მარგი".[4]

იოსებ თბილელის მიხედვით. გ. საყაძის სიძე, რომელიც ჯაყელთა საგვარეულოს წარმომადგენელია, ოსმალო სულთნის სამსახურში იმყოფება, ხაზინადარის მოვალეობას ასრულებს. ხაზინადარის თანამდებობა კი საკმაოდ მაღალი პოსტი იყო ოსმალეთის იმპერიაში. ადვილი შესაძლებელია, რომ ფერჰად ფაშა ხაზინადრად ყოფილიყო არზრუმის ველაიეთში და თავისი ოჯახით აქ დამკვიდრებულიყო.

ეგვმოდ უცვლელად მოგვაქვს თურქი ისტორიკოსის გამოკვლევის იმ ადგილის ქართული თარგმანი, რომელიც გიორგი საყაძის ქალიშვილის საფლავისა და გიორგი საყაძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ცალკეულ მომენტებს შეიცავს.

ანე ხათუნის აკლდამა

(გურჯი ხეი მოურავ ხანის ქალიშვილის ანე ხათუნის აკლდამა)

მურად ფაშას მეჩეთის სასაფლაოს სამხრეთ კუთხეში, მთავარ გზაზე. ზედ გზაჯვარედინზე ადგურით გადახურული გუმბათიანი აკლდამაა აშენებული. ოთხივე მხარე ღია. აკლდამაში ქვის სამი ურნაა. რადგანაც დიდ ურნას წარწერა არა აქვს, შეუძლებელი ხდება განსვენებულის პიროვნებისა და გარდაცვალების თარიღის დადგენა. ორ პატარა ურნაზე ამოტვიფრული წარწერებიც არ იკითხება. მხოლოდ აკლდამის ჩრდილოეთი მხარის მარცხენა კუთხეში 32,5×42 სმ. მარმარილოზე ძალიან ლამაზი არაბული შრიფტით, ოთხ ბწკარად ეს წარწერა იკითხება:

1. ვაი რომ წარვიდა ჩვენგან ახული მოურავ ხანისა — სწორუპოვარი ხელმაზისა იყო.

2. ოდეს წარიდგა სამოთხეში თავისი მშვენებით — ჰურიები შენატროდნენ და მსახურებდნენ მას.

3 (დამთარიღებელი ხიტყვებია) — ეფროდ მიიცვალა ხატკეთილი ჩემი ანე ხანუმი, ვაგლახ!

წელი 1059.

წარწერის მიხედვით აქ სულთან მეჰმედ IV-ის დროს ჰიჯრის 1059 წ., ჩვენი წელთაღრიცხვის 1649 წ. გარდაცვლილი მოურავ ხანის ძალიან ლამაზი და ტურფა ქალიშვილი ანე ხათუნია დამარხული. აკლდამაში მდებარე დიდი ურნა მას ეკუთვნის.

ხალხი ამ აკლდამას ანე ხათუნის აკლდამას უწოდებს. ეს სახელი არზრუმში ძველთაგანვე ფალიან პოპულარული და გავრცელებული ყოფილა. ბევრ არზრუმელს საკუთარი ქალიშვილისთვის ამ სახელის დარქმევით სურს გამოხატოს თავიანთი პატივისცემა განსვენებულს მიმართ. არზრუმის წმინდან და მფარველ მამაკაცებსა და ქალებს შორის ეს ანე ხათუნიც იხსენიება. ისმის კითხვა — ჰიჯრის წელთაღრიცხვით 29 წლით ადრე გარდაცვლილი ხათუნის მამა, იმ ხათუნისა, რომელსაც თავის სალამაზის გამო სამოთხეში ჰურიებიც კი მსახურად დისდგომიან, ვინ არის: იმ იმვიანი სიტურფის — ანე ხათუნის მამა მოურავ ხანი ვინ არის? არზრუმის ისტორიით დაინტერესებულ არც ერთ აღმოსავლელ და დასავლელ ისტორიკოსს ეს საკითხი არ გადაუწყვეტია.

საუკუნეს მიღწეულმა ზოგიერთმა ღრმად მოხუცმა არზრუმელმაც. რომელთანაც ჩვენ გვქონდა საუბარი, იმის შესახებ არაფერი არ იცის. რადგანაც წარწერა აქამდე არ წაუკითხიათ, თუ ვერ წაუკითხიათ, მოურავ ხანის სახელიც არაფის გაუგია.

ჩვენ ამ წაკოწკილ საკითხს განვიხილავთ:

მოურავ ხანი საქართველოს მელიქია (მეფეა). მან ირანის შაჰის — აბას 1-ის ლაშქარი და წარჩინებულნი გაანადგურა. შემდეგ ოსმალებს შეუერთდა. ჩვენს ისტორიებში: მორავის, მაღრავ ბეის და ხანის სახელწოდებით ხსენებული ეს სახელი წარწერებით დასტურდება, რომ აღმოსავლეთ ანატოლიაში მორავის სახით იხმარებოდა. მოურავ ხანმა მის მიერ მოტანილი უზარმაზარი შორსმტყორცნელი ზარბაზნითა და თავისი შეიარაღებული კაცებით არზრუმში აყანყებული აბაზა ფაშას დამარცხებაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა. როდესაც ისტანბულში მოვიდა, ისლამი მიიღო და სახელად მეჰმედი დაირქვა. მოურავ მეჰმედ ფაშასაც ეძახდნენ. ქოსე მიჰალის სახელის მსგავსად, მისი ძველი სახელიც იყო გავრცელებული. მურად IV-ემ გაწეული სამსახურის სანაქებოდ ყარამანიის (კონიის) ეიალეთის ხელმძღვანელობა უბოძა.

კონიაში ზოგიერთმა ყაჩაღმა იმით ისარგებლა, რომ მოურავმა მათი კანონები და მმართველობის საკითხები არ იცოდა და თავიანთ მიერ ჩადენილი უმსგავსოებანი მას (მოურავს) მიაწერა. დაასკენეს, თითქოს გურჯისტანში გაიქცაო და თავისი შვილითა და 50-60 მომხრე მამაკაცით მალათიაში შეიპყრეს. ჰიჯრის 1039 წ. (1629 წ.) სისხლისმღვრელობით ცნობილი დიდვეზირის — ხუსრევ ფაშას მიერ ალეპოში უსამართლოდ იქნენ დახოცილნი.

სიკვდილით დასჯის დროს თეთრწვერა და თეთრთმიანი ყოფილა. ჩვენი ისტორიები მოურავისა და მის ქვეშევრდომთა მეუღლეებისა და შვილების შესახებ არაფერს გვაუწყებენ.

ცხადია, რომ ისინიც მუსლიმანები იყვნენ. ისე ირკვევა, რომ ამ გურჯი ბეის ოჯახი, როდესაც მოკანყე აბაზა ფაშასგან უკან დაიბრუნეს (არზრუმი), მოურავ ხანის მიერ გაწეული მნიშვნელოვანი სამსახურის გამო ქ. არზრუმში დამკვიდრებულა.

მოურავის ქალიშვილი ანე ხათუნი მამამისისა და ძმის სიკვდილით დასჯის 20 წლის შემდეგ გარდაიცვალა და აქაა დამარხული. აკლდამაში მდებარე ორი საფლავიც მოურავ ხანის ოჯახის (წევრისაა). ჩვენ არ ვიცით მათი სახელები (არც ის თუ) ვინ არიან ისინი, ანე ხათუნი გათხოვილი იყო, ქმარი ვინ იყო, თუ გაუთხოვარი გარდაიცვალა. ჯერჯერობით ამ საკითხების გადასაწყვეტად მასალები ხელთ არა გვაქვს.

ახლა ირანის ლაშქრის გამანადგურებლისა და არზრუმის განთავისუფლებაში დიდი სამსახურის გამწევის მოურავ ხანის შესახებ არსებულ ჩვენს გამოკვლევას წარმოგიდგენთ.

მოურავ ხანი

ი-ტორიებში მოურავ ხანის სახელი ამ ფორმებით გვხვდება: მარავ, მორავ, მაღრავ, მეღრავ. იგი საქართველოს — ქართლის გამგებელი (ბეგი) იყო. ქრისტიანი იყო. საქართველოს მბრძანებლების: გურიის, დადიანის, აჭარაშისა და ირაგვის საერისთავოს გამგებლებისა და სხვა ემირების ოსმალეთის იმპერიისადმი დაუმორჩილებლობისა და სუვერენიტეტის მიუღებლობის გამო (ისინი) ირანელთა თავდასხმისაგან დაცული იყვნენ. შემდეგში, ირანის შაჰები მათ თავიანთ მხარეზე გადმოსაბირებლად ოსმალეთის წინააღმდეგ მტრობასიძულვილს უნერგავდნენ.

სულთან აჰმედის დროს საქართველოში ერთი სასიამოვნო (გარეგნობის), ლამაზი და ცნობილი გამგებელი იყო, რომელსაც თეიმურაზი ერქვა.[6] შაჰ აბასმა მრავალი საშუალებით მიზანს მიაღწია და ეს ბავშვი მოინადირა — თავისთან გაიყვანა, შემდეგ იგი თეიმურაზ ხანის ტიტულით გურჯისტანის მთავარ ქალაქ ზაგემში გაგზავნა. პირველ ხანებში ეს უფლისწული ირანელთა ინტერესების შესაბამისად მოქმედებდა. შემდეგ შაჰ აბასთან უთანხმოება მოუვიდა და ოსმალთაგან — ვანის ბეგლარბეგის — თურქზე ბილმეზ პუსეინ ფაშასგან დახმარება ითხოვა. მაშინათვე, დახმარების აღმოჩენამდე გურჯისტანის ლაშქრით ირანს თავს დაესხა, ჯარი გაანადგურა.

შაჰ აბასმაც თეიმურაზ ხანის წინააღმდეგ გურჯისტანის (ქართლის)[7] ბეგის მოურავის დახმარებით ძალები განმტკიცა და თავს დასასხმელად გამოემართა, მის მფლობელობაში არსებული მთელი დასახლებული პუნქტები და სოფლები იავარყყო. ქალაქი ზაგემი დაანგრია, გადასწვა და აქ. თავისი (ხელქვეითი) ირანელი ფეიქარ სულთან ბეი დანიშნა. ირანელთა სულთანმა მთვბსა და ხეობებში გაფანტულსა და თავშეფარებულ ქართველებს ზაგემში მოუხმო, სათესლე მარცვლეული უბოძა და უბრძანა მინდორ-ველები დაემუშავებინათ. მოკლე ხანში ქალაქში 10.000-მდე იარაღის მატარებელი ქართველი ახალგაზრდა შეგროვდა (მათმა სიმრავლემ) თვითონ შეაფიქრიანა და ბოლოს შაჰისგან დახმარება ითხოვა, შაჰმა თავის კორჯიბაშ ყარჩილაი-ხანს მოურავ-ბეგიც შეუერთა და რამდენიმე ათასიანი ლაშქრით (ვითომ) ქალის შერთვისა და დათვალიერების მომიზეზე-

ნოდარ შენგელია
გიორგი საამაძის ქალიშვილის
ანე ხათუნის საფლავი

ბით საქართველოში გააგზავნა. შაჰმა ყარჩიღაის უბრძანა, რომ საიდუმლო წერილსა და ფირმანს დალოდებოდა და მოურავ ხანისათვის ერთეთარი რჩევისათვის არ მიემართა. ყარჩიღაი ხანმა მოითხოვა, რომ ქალაქებში მაცნეებს ხმამაღლა გამოეცხადებინათ — ვინც შაჰის მეგობარია, მოწყალების მისაღებად დასათვალიერებლად დანიშნულ ადგილზე შეკრებილიყვნენ. 12 ათასამდე ქართველი ახალგაზრდა დათქმულ ადგილზე შეიკრიბა. ამ დროს შაჰისგან საიდუმლო ფირმანი მოვიდა, იუწყებოდა, რომ:

„შენ რომ კორუჯიბაში ხარ, გეკალება დათვალიერების ადგილზე შეკრებილი ქართველები მთლიანად ამოხოცო. მოურავიც ცოცხალი არ დატოვო, რაც არ უნდა დაგიჯდეს უნდა მოკლ".

ფირმანის მომტანმა უკუღმა გაიგო შაჰის ბრძანება, წერილი მოურავ ხანსაც უჩვენა. მანაც შეკრებილ ქართველებს მაშინათვე აცნობა (შაჰის) ეი განზრახვა, მაგრამ მათ არ დაიჯერეს. მოურავი თავის ლაშქართან ერთად დიდი უურადღებითა და სიფხიზლით შედეგს დაელოდა.

ირანელებმა ხეობის გასასელელი ხაიდუმლოდ დაიკავეს, დაბრუნებულ ქართველებს თავს დაესხნენ, ოთხასი კაცი ხმლით აკუწეს. ვინც გადაურჩნენ მოურავ ხანის მიერ მიწოდებული ცნობის სისწორე ირწმუნეს და დაიფანტნენ.

ფეიქარ სულთანი და ყარჩიღაი ვითარებას უურადღებით ადევნებდნენ თვალს. მოურავმა დროის დაუკარგავად ქართველ წარჩინებულებს საიდუმლოდ აუწყა და უბრძანა, რომ მეორე დღეს განთიადისას ირანელებს ერთად თავს დასხმოდნენ. დათქმულ საათზე მოურავი ყარჩიღაის კარავთან მივიდა და უთხრა:

— ჩემო ხანო, რას დამდგარხარ, თეიმურაზი მოვიდა, მოულოდნელად თავს დაგეესხა. ყარჩიღაი ცხენზე შეჯდა და როგორც კი გარეთ გამოვიდა შუბი წელზე ჩასცა. იგი მაშინათვე მიწაზე დასცა, მოკლა. მოურავისა და თეიმურაზის ლაშქარიც იერიშზე გადავიდნენ და ირანელთა ხანები და ჯარი ხმლით აკუწეს. ამის შემდეგ მოურავმა დამოუკიდებლობა გამოაცხადა და მოისურვა, რომ მთელი ქართველები მას დამორჩილებოდა. ფულებიც მოსკრა ზედ წარწერით: მონა წმინდანობის შაჰისა — მოურაე შაჰი.

შაჰ აბასმა მოურავის წინააღმდეგ კორუჯიბაშის ისპაკისა და ემირგუნე ხანების მეთაურობით ახალი ძალები გააგზავნა. მაგრამ ემირგუნე და სხვა მხედართმთავრები დაიჭრნენ. ირანის ლაშქრის უმეტესობა ხმლით იქნა აკუწული. თეიმურაზ ხანს ირანელთა თავდასხმის შეეშინდა და ყარსის მხარეს გაიქცა, იქ დასეირნობდა და შედეშეს ელოდა. მოურავი სპარსელებს დაედევნა, განჯა გადასწვა და საქართველოში დაბრუნდა, ქალაქ ზაგემში ქართველების ტახტზე დაჯდა. თეიმურაზი ქართველ მეფედა შთამომავალი იყო. ქართველები მოურავის მბრძანებლობას ეეღარ იტანდნენ. მოურავმა თეიმურაზს ცხენი და ბევრი საჩუქარი გაუგზავნა და მოსთხოვა წერილობითი მორჩილება გამოეცხადებინა, რადგანაც ხედავდა, რომ თავისი სიცოცხლე სართხეში იყო.

ნაიმა ამ ცნობის მოწოდების შემდეგ წერს, რომ მოურავი თავისი კაცებით რუმის ქვეყანაში (ოსმალეთში) გაიქცაო და ამით ამთავრებს თავს (დაწერილებითი ამბავი საქართველოსა და ყიზილბაშებისა).[8]

ეს ისტორიკოსი უფრო ზემოთ 1034 წლების ამბების გადმოცემისას, საქართველოში ყიზილბაშთა ლაშქრის დამარცხების შესახებ როცა გვიყვება აღნიშნავს, რომ მოურავ ხანმა როდესაც ყარჩიღაი მოკლა 30.000 ყიზილბაშთა ლაშქრიდან 27.000 ხმლით აკუწა. მოურავ ხანმა ყარჩიღაის, მისი შვილის, ემირგუნე ხანის, კაზღან ხანის შვილის და ხანების: შირვანის ხანი იუსუფ ხანის, მეჰმედისა და სულეიმანის (მოკრილ თავებთან) ერთად. ათი სულთნის მოკრილი თავი წითელ ქსოვილებში შეახვია, ირანელთაგან წართმეული კარავი, დროშები, ბუკები და დიდი დოლები, 6.000 ირანელთა ლაშქრის მოკრილი თავი და ოცამდე მოენე (ცოცხალი ირანელი) ოსმალთა სარდალს გაუგზავნა; თვითონაც, თავისი შვილითა და საქართველოს ზოგიერთ წარჩინებულთან ერთად რამაზანის 21-ე დღეს სახელმწიფო ლაშქარში (ოსმალეთის ლაშქარში) მივიდა. მოკრილი თავები სათითაოდ ჯოხებზე წამოაცვეს, მოგროვილი ნადავლი ირანის კარვის, დოლებისა და ბუკების თანხლებით ჩამოატარეს. შემდეგ მოურავ ხანი ამასიის ბეგ მეჰმედ ბეგთან ერთად ისტანბულში გაიგზავნა.[9]

სინამდვილეში მოურავ ხანმა ირანელთა დამარცხებისა და მათი შვიდი სახელოვანი ხანის დახოცვის შემდეგ თავისი შვილი და ფეჩეთის გადმოცემით, საქართველოს ზოგიერთი მელიქი, ოსმალეთის ლაშქარში გაგზავნა და სარდალ პაფიზ ფაშასაც წერილი მისწერა.

ამ წერილში შემდეგი იყო ნათქვამი: ოსმალეთის სახელმწიფოს ასეთი ხელსაყრელი შემთხვევა არ ჰქონია, დაუყოვნებლივ ისლამის ლაშქრით ამ მხარეს წამოდით. როგორც კი მოხვალთ ნურავითარი ეჭვი ნუ გექნებათ, მთელი ყარაბაღის, განჯის, იერუსა და შირვანის ოლქები მაშინვე დაგმორჩილდებიან. ესენი ყიზილბაშთაგან ზურგშექცეული სუნიტი მუსლიმანები. არდებილი და მეშჰედი ადვილად იქნება დაპყრობილი. გარდა ამისა ირანისადმი კვლავ ცეცხლის დაშენა ძალიან ადვილია. აქლემის, სახედრის, პროვიანტის, ზარბაზნის და სხვა გადასატანი საჭურველის ფიქრი ნუ გექნებათ.

ესენი რამდენიც საჭირო იქნება ყველაფერი აქ ორის. ალაჰის წყალობით ისლამის ლაშქარი იმდენად ბევრ ნადავლს აიღებს, იმდენ ძალასა და სიმხნეევეს მოიპოვებს, რომ სანამ დუნია იარსებებს, ეს გამარჯვება გულებში ლეგენდად დარჩება.[10]

მოურავ ხანის შვილმა და მასთან ერთად მყოფმა ქართველმა ბეგებმა ზეპირადაც ურჩიეს დიდვეზირსა, და დიდებულ სარდალს ჰაფიზ ფაშას[11] საქართველოსაკენ გამგზავრებულიყენენ. რადგანაც ჰაფიზ ფაშა ფადიშაჰის მიერ ბაღდადზე (სალაშქროდ) იყო დანიშნული, ამ თხოვნებს დადებითად არ შეხვდა. მოურავის შვილი და გურჯისტანის წარჩინებულები ფაშას რამდენიმეჯერ ეახლნენ და წავიდნენ. სარდლისგან მიღებული პასუხი ეს იყო: — ბედნიერმა ფადიშაჰმა ჩვენ ბაღდადის დასაყრობად უგვანიშნა. ჩვენ გურჯისტანისა და შირვანის ოლქებში არა ვართ დანიშნული...

დეკემბერი ისტორიკოსი ფეჩოილი იბრაჰიმ ეფენდი, რომელიც იმ დროს ლაშქრობაში იმყოფებოდა. მოურავის მიერ ფაშას მოპატიჟებას იწონებს, მაგრამ თავისთავად ამ ღონისძიების განხორციელება მას საეჭვოდ მიაჩნია. როგორც კი უშედეგო აღმოჩნდა მისი რჩევა-დარიგება, (იგი) იანიჩართა აღას — ხუსრეე აღას გადაბრალა.

— ჩვენ დამოუკიდებელნი როდი ვართ, სარდლისადმი მორჩილების გარდა არაფერი გვევალება!... ასეთი პასუხი გასცა. ფეჩეევმ თავის ისტორიაში ეს საკითხები როგორც კი ყოველმხრივ დაადგინა, დასძინა, რომ ხუსრეე აღას ჰაფიზ ფაშას წარმატებები არ უნდოდა და ამიტომ გასცა ასეთი პასუხი. ქათიბ ჩელები თავის ფეზლექეში მიუთითებს, რომ ფეჩევის მოსაზრება და რჩევა-დარიგება არაა სწორი.[12] ჰაფიზ ფაშამ ბაღდადი ვერ აიღო. ფეჩევის სურს თავისი მოსაზრების სისწორე ამით დაადასტუროს. მაგრამ ქათიბ ჩელები კი შემდეგს ამბობს:

ჰაფიზ ფაშამ ფეჩევის სიტყვებს დაუჯერა და იმ რაიონში გამგზავრება უაზრობად მიიჩნია. ვილაიეთის დანგრევით ირანის შაჰი ბაღდადს მოგცემდა? როდესაც ბაღდადის დასაპყრობად ხარ დანიშნული და სხვა რაიონში მიდიხარ, თუ გამარჯვებას ვერ მიაღწევ, გისაყვედურებენ! წარსულში სულთან სულეიმანიც ნახევანს თავს დაეცა და მისი შედეგები ისტორიებშია ჩაწერილი. თუმცა ჰაფიზ ფაშა ბაღდადს თავს დაესხა, ვერაფერი გაწყო. მხოლოდ ლაშქარმა მიიღო გამოცდილება და ცნობილი გახდა, რომ ბაღდადის ადვილად დაპყრობა შეუძლებელი იქნებოდა.

ნაიმას თქმით, მოურავ ხანმა როგორც კი დაინახა, რომ მისი სურვილები არ დაკმაყოფილეს, რჩეულებითა და ხელქვეით აზნაურთა ერთად ჯგუფით რუმის მხარეს გაიქცა და ოსმალეთის სახელმწიფოს შეაფარა თავი და სურდა სარდალი ჰაფიზ აჰმედ ფაშა იმ რაიონში მოეყვანა.

მუჰარემის თვეში ქართველთა მიერ ყიზილბაშთა მოკრილი თავები ისტამბულში გაიგზავნა. სახელმწიფო კარის წინ იქნა დაყრილი და ხალხისათვის გამოფენილი.[13]

იმავე ნაიმადან ვგებულობთ:

ჰ. 1037 წ.1627 წ. ამბების გადმოცემისას ერზერუმის გარემოცვის ამბის დასაწყისში ნაიმა წერს, რომ როდესაც დიდ-ვეზირი და დიდებული სარდალი ჰალილ ფაშა ძველი სილაქდარი და ჩირაღი იყო. აჯანყებულ აბაზა ფაშას ერზერუმში წინააღმდეგობა გაუწია. ჰალილ ფაშას მოურავ ბეის მიერ მოტანილი ერთადერთი შორსმტყორცნელი ზარბაზნის გარდა ციხის დასანგრევი ზარბაზანი არ ჰქონდა. სარდალს უნდოდა ზარბაზნებით ციხის დანგრევა. ამ დროს საფერის მეოთხეს, გურჯისტანის მამაცი და სახელოვანი გაბმგებელთაგანი მოურავ-ბეი, რადგანაც თავის ჭმაზე რაღაც მიზეზის გამო გაბრაზებული იყო, ოსმალეთის სახელმწიფო ლაშქარში ერთი ზარბაზნით მოვიდა და ამრიგად ოსმალთა ლაშქარმა სიძლიერე და სიხარული მოიპოვა. ორი ზარბაზანიც ოლთის ციხიდან მოიტანეს. სამი ზარბაზნით ციხე ვერ აიღეს.[14] თოვლი მოვიდა. ლაშქრის კარვები თოვლის ქვეშ მოყვა და რადგანაც ლაშქრის უმრავლესობა იყინებოდა, უკან დაბრუნეს. ეს ჰალილ ფაშას დიდვეზირობიდან და სარდლობიდან გადაყენების მიზეზი გახდა.

ერთი წლის შემდეგ დიდ ვეზირად და სარდლად დანიშნული ხუსრეე ფაშა ერზერუმის აბაზასაგან გასანთავისუფლებლად გაიგზავნა. აჯანყებულმა აბაზა ფაშამ ირანის შაჰისაგან დახმარება ითხოვა. სარდალმა გაიგო, რომ შაჰმა შემსი ხანის მეთაურობით მცირე ძალები გამოუგზავნა. აბაზას დაუდევრობის გამო მთელი ძალები და შესაძლებლობები გამოიყენეს და ერზერუმის ციხე გარემოიცვეს.

ნაიმა როდესაც გარემოცვებს იგონებს, აღნიშნავს, რომ: ციხე ალყაშემორტყმულ და ზარბაზნები დაყენებულ იქნა. დიდვეზირი რუმელიის ლაშქრით ჰასან ფაზა ვაროშის მხარეს შვიდი ზარბაზნით დადგა. იანიჩართა აღამ სივასისა და ანატოლიის ლაშქრით ერზინჯანის კართან ხუთი ზარბაზნით პოზიცია დაიკავა. აჰმედ ფაშამ — გუმუშ გუმბეთის მხარეს და მოურავ მეჰმედ ბეიმ გურჯუ კაფუსთან სანგრები გათხარეს და გასასვლელები გააკეთეს".[15]

აბაზა დამარცხდა. ხუსრეე ფაშამ იგი ისტამბულში ჩამოიყვანა, რადგანაც ამ ამბების დროს მოურავ ბეის სახელის გვერდით მეჰმედიც იხსენიება და თუ ამ ბრძოლამდე მუს-

ნოდარ შენგელია
გიორგი საკაძის ქალიშვილის
ანე ხითუნის საფლავი

ლიმანში ჩრიდა მიღებული (ეს ამბავი დასტურდება, რომ 1. 1039-1629 წ: ამბების გადმოცემისას თავში „მოურავ ბეგის ამბები (ეროვნის მოსახლეობა)", ისტორიკოსი რა გორც ვიცით. აღნიშნავს. რომ ბეგის ერზერუმის ლაშქრობიდან ოსტამბულში დაბრუნების შემდეგ. ვიზილბაშთა განადგურებით. სარდლისადმი მორჩილებით და ერზერუმის ლაშქრობაში მონაწილეობის მიღებით ფადიშაჰი გაბრაზდა და რადგანაც თავისი სეფეალითაც მუსლიმანობის მიღებით სახელად მეჩეფი დარჩა, ეარამანის ვილაიეთის ბეგლარბეგობაც ჩამ ეგზავა

მოურავ მეჩეფ ბეგ ბაბაცი, ძლიერი, სახელოსავით დიდტანიანი, უსამართლობისა და ძალმომრეობისადმი მისწრაფებული კაცი იყო. როგორც ისტორიკოსი აღნიშნავს, სახელმწიფოსა და მართვის საქმეებში ძალიან გამოუცდელი ყოფილა. თურქულ-ოსმალური მმართველობა, მუსლიმანი ხალხის თავისებურებანი არ იცოდა. კონიაში მოხუცებულ ადამიანთაგან ერთი ხუცესი (ქრისტიანი) მუთესალიმად დანიშნა ქართველი გმირისათვის ეიალეთის მიცემის გამო ძალიან წინააღმდეგობა (ადამიანებმა) ეს ოთხსტროფიანი სპარსული ლექსი გამოუთქვეს, რომლის მიხედვით მას (მოურავს) ათქმევინეს:

ვსვამ ღვინოს. ჭამ ფლავს,
ამის გამო მე ხემის გარეგნობით
ხარს დგემსგავსე.
მე არც ცეცხლთაყვანისმცემელი ვარ. არც
მუსლიმი, არც ებრაელი
მირ-მირანი ვარ ეარამანისა — მოურავი.

კონიაში მოურავ ბეგის მუთესელიმისა და ორმოცი-ორმოცდაათი კაცის უმეტესობა, სპარსელების მსგავსად, თავზე სხვადასხვა ფერის ქსოვილს იხვევდნენ.

ოსმალური წესებისა და აღზრდისათვის უცხო ქართველები ოსმალებს სძულდათ. (მათ) ხალხის ქონების ჩამორთმევა და წყველობები დაიწყეს. ზოგიერთ ქალებს თმებს პარსავდნენ, თავგაკრეჭილი ბიჭებივით ცხენებზე სვამდნენ და დაატარებდნენ.

კონიელები, რომლებიც თავიანთ ეროვნულ ადათებსა და ტრადიციებთან მკაცრად იყვნენ დაკავშირებულნი, თავიანთ ღირსებებს, ეროვნულ სიამაყეს ყველაზე მაღლა აყენებდნენ. (მათ) ეს ცუდი საქციელი არ მოეწონათ და ყოველ ღონე იხმარეს ქალაქ კონიის თავადებული და მამაცი მოსახლეობიდან დაწინაურებული აკაშ ემირ ოღლუ იბრაჰიმ ჩელები თავისი კაცებით ერთ დღეს ასლიმის ველზე დაბანაკებულ ქართველებს თავს დაესხა. მუთესელიმი დაიჭირეს და კონიის ციხეში დაამწყვდიეს. ამის შემხედვარე ქართველები დაიფანტნენ. ამის შემდეგაც იბრაჰიმ ჩელებიმ კონიელები შეკრიბა, მოურავ ბეგის კაცებისა და მუთესელიმის უსამართლობისა, ძალმომრეობის (მუსახებ) კოლექტიური ხიზანი შეადგინეს და ვილაიეთის ყადისაგან წარდგინება ადგილ, ულემასთან, წარჩინებულებთან და ლიბებთან ერთად დადგეზირსა და დიდებულ ხარდალ ქუსრევ ფაშასთან ამაელეს და დამბარება ითხოვეს.

კონიელთა სამსჯავრების გამო მოურავი ანატოლიიდან გაიქცა, მაგრამ გზა-კვალი არ იცოდა და თავისი ხალხით მალათიის მხარეში ზორ ფაშამ ოჯა შეიპყრო. სუყველანი შებოჭა და ამ დროს ალეპოში მყოფ ხუსრევ ფაშას გაუგზავნა. ხუსრევ ფაშამ თავისი კარის კარი გაიდო. სკამზე ჩამოჯდა. საშუალო ტანის მოურავი ხელგაბმული ხალთამოცმული და ხელზე ბორკილდადებული ცხენზე შესვეს, ფაშამ წინ ჩამოატარეს. თვითონ (მოურავი) მისი შვილი და სხვა კაცები თან მიყვნენ. სისხლის ღვრას დიდად მოყვარულმა ფაშამ ბრძანა ყველასათვის თავების მოკვეთა. ქათიბ ჩელებმ ხუსრევ ფაშას ეს საქციელი დიდ და ხანშინელ დანაშაულად მიაჩნია. ეგი წერს, რომ ამ მოხუცი გმირის (ლაზის), რომელმაც ყარჩიღა ხანი დაამარცხა, ყიზილბაშთა ლაშქარი დაიკცა, ოსმალთა სახელმწიფოს დიდი საშსახური გაუწია, ცრუ სარწმუნოება უკუგდო და ისლამი მიიღო, ასე მოკვლა არანელთა შაჰის უდიდესი თავგანწირვა თუ არ იყო არავის სჯეროდა. და ამის შემდეგ უცხო ტრმის წარმომადგენელთაგან არავინ მიემხრობოდა ოსმალებს, როდესაც ამას წერს. იგი აღნიშნავს, რომ სპარსელთა შაჰს რამდენიმე ათასობით ოჯა ახჩა რომ გაეღო და ოღლები ებოძებინა, ფადიშაჰთა წინაპარი ამ საქმეს (მოურავის მკვლელობას) არ დასთანხმდებოდა და გონიერულად არ ჩასთვლიდა. ევროპა წარმომადგენელმა მხოლოდ სისხლის ღვრისადმი სიყვარულის გამო ჩაიდინა ეს საშინელი სიმხეცე.

ქათიბ ჩელების მიხედვით, ეს კაცი (მოურავი), რომელიც ქართველი იყო და ქართული მმართველობისა და ხელისუფლების გარდა არაფერი იცოდა, ისლამის ქვეყნების მდგომარეობას არ იცნობდა. მისადმი დაკალებულ ბრალდებებს დაუდეგრად ექცეოდა. როდესაც კონიაში იმყოფებოდა ზოგიერთმა მოჯანყემ უსამართლობანი და ცუდი საქმეები ჩაიდინა და (ყველაფერი) მას მიაწერა... ამის შემდეგ კი მას უთხრეს: ხუსრევ ფაშა სისხლისმღვრელი კაცია, შენზე შურს იძიებს... გეშინოდეთ რომ მოგკლას, გაიქეცი, საწყალი წაიქეზეს. იგიც, რადგანაც არცერთი ადგილი და გზა არ იცოდა მეგზურის გარეშე გზას გაუდგა... ისევ ამ უაჩალებმა ხმები გაავრცელეს, რომ გურჯისტანში გაიქცაო...

ქათიბ ჩელები თავის აზრს ამრიგად ამთავრებს: დაეუშვათ, რომ (მოურავი) ხალხს ჩავ-

რაკი, კიდევაც რომ დადასტურებულიყო მის მიერ ჩადენილი ძალმომრეობა, მას საზოგადოებრივი უფლებები უნდა ჩამოერთმეოდა და უნდა გასამართლებულიყო: შემდეგ გაფრთხილება უნდა მისცემოდა, რომ ამიერიდან ასეთნაირი ძალადობა არ ჩადენია. უფრო შესაფერი და მიზანშეწონილი იყო ასეთი (ღონისძიებებით) დაკმაყოფილებულიყო. ასეთი ლომსეული და სახელოვანი კაცის სიკვდილით დასჯა უდიდესი მუხანათობაა. მაგრამ ნათქვამია კაცის მკელელი ყაცის ხელითვე მოკვდებაო. ეგეთონაც ასეთივე ბედი ეწია და (მსგავსი) სასჯელი მიეზღო.[16]

სასჯელი ოსმანის ავტორი მოურავის შესახებ შემდეგს წერს: მეჰმედ ფაშა მოურავი ქართველია. იმანელებთან ომების დროს მათ დამარცხებასთან ერთად ერზერუმის ლაშქრობაში მოვიდა და დიდებულ სარდალს დაემორჩილა, მას შეაფარა თავი. ისტამბულში გაიგზავნა, ისლამი მიიღო, მეჰმედი დაირქვა, კაფუჯიბაშობა ებოძა და სახელმწიფო ლაშქარში გაიგზავნა. იქ კონიის ბეგლარბეგი გახდა ჰ. 1038 წ. შვილთან ერთად მოკვდა, საშუალო ტანის თეთრწვერა მამაცი იყო.[17]

შენიშვნები:

გ. ჯამბერია, გიორგი საკაძე, თბ. 1964. გვ. 39

[2] იოსებ ტფილელი, დიდმოურავიანი, გიორგი ლეონიძის რედაქციით, თბ. 1939. გვ. 35.

[3] გ. ჯამბერია, დასახ. ნაშრ. გვ. 119.

[4] იოსებ ტფილელი, დიდმოურავიანი, გიორგი ლეონიძის რედაქციით, თბ. 1939. გვ. 62.

[5] ფეზევის ისტორია, ტ. 2. გვ. 403-ში მარავ — წერია. ნაიმას ისტორია, ტ. 2. გვ. 345-ეზე მაღრავ წერია. გვ. 416--ზე, 344-351-ზე და ტ. 3. გვ. 4-6-ზე მღრვ — წერია ქათიბ ჩელების ფეზლექეში ამავე ფორმით გვხვდება, გვ. 88.

[6] ევლია ჩელები მას თემრას ხანის სახით წერს. ტ. 2. გვ. 314. ისლამის ენციკლოპედიაშიც თეიმურაზის სახით იხმარება.

[7] ისლამის ენციკლოპედიაში ქართლის სახითაა წარმოდგენილი.

[8] ნაიმა, ტ. 2, გვ. 344-352.

[9] იქვე, გვ. 346.

[10] ფეზევის ისტორია, ტ. 2, გვ. 404.

[11] მურად IV-ემ დიდვეზირი ჩერქეზ მეჰმედ ფაშა სარდლად დანიშნა და ირანელთაგან დაპყრობილი ბაღდადის უკან დასაბრუნებლად გზავნიდა. რადგანაც მეჰმედ ფაშა გზაში გარდაიცვალა, დიდვეზირის ბეჭედი და სარდლობა დიარბეკირის ბეგლარბეგ ჰაფიზ ფაშას უბოძა. ნაიმა, ტომი 2. გვ. 343.

[12] „ფეზლექე", ტ. 2. გვ. 78.

[13] ნაიმა, ტ. 2, გვ. 356. ეს ჰ. 1035 წ. ამბების დროს მოხდა.

[14] ნაიმა, ტ. 2. გვ. 434.

[15] ფეჩევი, ტ. 2, 49-ე გვ-შიც აღნიშნულია: რადგანაც ზარბაზანი არ ჰქონდათ და და არც სხვა საჭურველი გააჩნდათ, მხოლოდ გურჯი მელიქის მოურავის მიერ მოტანილი ზარბაზნით იქნა თავდასხმა დაწყებული.

[16] ჰ. 1041-1631 წ. თოქათში ჯალათ ლერის მიერ თავის მოკვეთით იქნა დასჯილი. ნაიმა, ტ. 3. გვ. 87.

[17] იქვე. გვ. 153.